41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო წყალტუბოელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი წყალტუბოს მერობის კანდიდატისა და წყალტუბოს საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს წყალტუბოს განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს წყალტუბო და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

ეკონომიკა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალოდ 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს, წყალტუბოს ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 11,3 მლნ ლარი იყო, 2021 წლის გეგმით – 25,5 მლნ ლარია. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიც – თუ 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა გადასახადების ნაწილში შემოსავლების სახით 1,4 მლნ ლარი მიიღო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი უკვე 2,9 მლნ ლარს შეადგენს.

- ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნებისა და ამოცანების ეფექტიან განხორციელებას.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მლნ-დან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 2 პროექტი (ჯამურად 210 409 ლარი, სახელმწიფოს თანამონაწილეობა 83 953 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 282 ჰექტარზე განხორციელდა 77 პროექტი ჯამურად 4 869 502 ლარი. **აგროდაზღვევის პროგრამით,** 2014-2021 წლებში, ჯამურად, დაზღვეულია 406 ჰექტარი ფართობი (მოსავლის ღირებულება 1 062 477 ლარი), რითაც 731-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით, დღეს მოქმედებს 13 კოოპერატივი (176 მეპაიე, კაპიტალი 380 025 ლარი). პროგრამით **„ქართული ჩაი“,** სახელმწიფოს მხარდაჭერით, 2016-2021 წლებში, დაკონტრაქტებულია 25 ჰექტარი. ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციისთვის განხორციელდა ჯამურად 71 185 ლარის ინვესტიცია. 2013-2021 წლებში, **შეღავათიანი აგროკრედიტით** 640-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა და, ჯამურად 30 103 173 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 4 552 418 ლარი). **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** განხორციელდა 18 პროექტი (ჯამურად 2 239 519 ლარი, თანადაფინანსება 882 445 ლარი). 2020 წლიდან ამოქმედდა **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამა** (2 პროექტი ჯამურად 112 792 ლარი, თანადაფინანსება 88 667 ლარი) და **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა** (9 პროექტი ჯამურად 518 073 ლარი, თანადაფინანსება 259 037 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე,** 2013-2020 წლებში, დაიხარჯა 3 941 146 ლარი. წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი, 1 000-დან (2013 წელს) 3 150 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა.

2013 წლიდან დღემდე ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფოს მხარდაჭერით ცხოველთა მფლობელებისთვის უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიებები**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, ცივი შესხურებით წლიურად საშუალოდ დაამუშავა 3 553 ჰექტარი, თერმული ნისლის გამოყენებით – წელიწადში 10 680 ჰექტრი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მლნ ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;**

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარების და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“ პროგრამის სასტუმროს კომპონენტში** ხელი შეეწყო 7 სასტუმროს მშენებლობას. პროექტების ჯამურმა საინვესტიციო მოცულობამ 12 154 134 ლარი შეადგინა. ამ სასტუმროებში, პროგრამის ფარგლებში, დასაქმდა 219 ადამიანი, ხოლო ჯამურად წყალტუბოს მუნიციპალიტეტს 147 ახალი სასტუმრო ნომერი შეემატა.

მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით, „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 565 621 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 705 372 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 77 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 28, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 49 პროექტი).

- **გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა;**

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

„ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის მიხედვით, 2030 წლისთვის დადგმული სიმძლავრე გაორმაგდება და 10,166 მგვტ-ს მიაღწევს. შიდა რესურსებით გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა კი სამჯერ გაიზრდება და 34 მილიარდ კილოვატ/საათს გაუთანაბრდება.

იმერეთის რეგიონში, მშენებლობა-ლიცენზირების ეტაპზეა 4 ჰიდროელექტროსადგური:

- **ნამახვან ჰესების** კასკადი – დადგმ. სიმძლავრე 433 მგვტ, 800 000 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 1** – დადგმ. სიმძლავრე 1,72 მგვტ, 2 200 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 2** – დადგმ. სიმძლავრე 1,05 მგვტ, 1 450 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 3** – დადგმ. სიმძლავრე 1,99 მგვტ, 3 010 000 აშშ დოლარი.

იმერეთის რეგიონში, **6 ლოკაციაზე მიმდინარეობს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა,** შემდგომში **ქარის ელექტროსადგურების** ასაშენებლად. აღნიშნული ქარის ელსადგურების ჯამური სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 635 მგვტ-ს აღწევს.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 10 887 აბონენტი. გაზიფიცირების სამუშაოები დაგეგმილია 12 სოფელში (ცხუნკური, ყუმისთავი, ზარა-

თი, ჭოლევი, სორმონი, ნოღა, მეჩხერი, ოფურჩხეთი, გუმათი, ჟონეთი, ნამოხვანი, საკირე), აბონენტთა სავარაუდო რაოდენობა 1 763-ს შეადგენს. 2013-2017 წლებში მუნიციპალიტეტში **ელექტროენერგიის** ინდივიდუალური მრიცხველი 5000-ზე მეტ აბონენტს დაუმონტაჟდა, რითაც წყალტუბოში მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

ტურიზმი

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განსავითარებლად წყალტუბოში განხორციელდა ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია. 2016 წლიდან მიმდინარეობს ახალი ტურისტული მარშრუტების კვლევისა და დაგეგმვის პროექტი. მუნიციპალიტეტში მოეწყო სათაფლიის მარშრუტი, პრომეთეს მარშრუტი, სამანქანო მარშუტი ქ. წყალტუბოში, საფეხმავლო მარშრუტი პარკის ტერიტორიაზე, განახლდა ნ. ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმი; დამზადდა წყალტუბოს ტურისტული რუკა და ტურისტულ ობიექტებზე შესაბამისი მიმთითებელი ნიშნები; გეგუთის სასახლეს ჩაუტარდა რესტავრაცია და დამონტაჟდა გარეგანათება; განხორციელდა პრომეთეს მღვიმეს ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და სანაოსნო ტური, ასევე სათაფლიის აღკვეთილის ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.

წყალტუბოს ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად ათვისების მიზნით, ხორციელდება სრულმასშტაბიანი სარეაბილიტაციო სამუშაოები. **წყალტუბოს კურორტის განვითარების ერთიანი კონცეფციის ფარგლებში,** დაგეგმილია სასტუმროებისა და ბალნეოლოგიური დანიშნულების აბანოების გამოსყიდვა/რეაბილიტაცია, ინფრასტრუქტურული პროექტები.

2017 წელს აშენდა **პრომეთეს მღვიმეს** ვიზიტორთა ცენტრი (55 ათასი ევრო). 2015 წელს შეკეთდა **სათაფლიის აღკვეთილის** ტურისტული ინფრასტრუქტურა, 2019 წელს განახლდა **ეკოტურისტული** ინფრასტრუქტურა (221 950 ლარი). 2018 წელს **საწურბლიას მღვიმეში** მოეწყო ვიზიტორთა ცენტრი და მღვიმე სპელეოთერაპიისათვის (647 777 ლარი). 2019 წელს პრომეთეს მღვიმეში განახლდა განათებისა და გახმოვანების სისტემები (1 165 383 ლარი). 2020 წელს მოეწყო **სათაფლიის ბილიკი** (90 000 ლარი).

2021 წელს მოეწყო **თეთრა მღვიმე.** ეს არის საქართველოსა და ევროპაში პირველი ეკოტურისტული სივრცე მიმზიდველი ინოვაციური სერვისით, რაც გულისხმობს, ბუნებრივ პირობებში, ღვინის დაძველებასა და მღვიმეში დაძველებული ღვინის დეგუსტაციას. მღვიმეში ვიზიტორებისთვის დაინერგება სპელეო-გამაჯანსაღებელი სეანსებიც, რაც განპირობებულია მღვიმის სპეციფიკური ჰაერით.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს;**

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა და გარემოს დაცვა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2014-2021 წლებში, ხონი-წყალტუბოს სატყეო უბნის ტერიტორიაზე, ხე-ტყის ორგანიზებულად დამზადების ფარგლებში, დამზადდა 4295,9 კუბ.მ ხე-ტყე. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება.**

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს** და ავრცელებს გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ. ყოველწლიურად მიმდინარეობს სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი.

- **სამომავლოდ** გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;
- **გაგრძელდება** სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ; გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად,** 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

2022-2023 წლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, წყალტუბოში, **ადგილობრივი მნიშვნელობის** გზების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად, 31 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. აშენდა 1 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 9 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 1,185 მლნ ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმით, 2021-2025 წლებში, მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა, შედეგად, წყალტუბოს 15 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 2,826 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის საშუალება ექნება.

2014-2020 წლებში, წყალტუბოს **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 32 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. ხელისუფლების გეგმით, 2021-2023 წლებში, დამატებით 8 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯება. **კერძოდ, წყალტუბოში უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება წყალმომარაგების შემდეგი პროექტები:** ქ. წყალტუბოს წყალარინების სისტემის ნაწილობრივი რეაბილიტაციი პროექტირება/მშენებლობა (703 107 ლარი) და წყალარინების სისტემის მშენებლობის საპროექტო სამუშაოები (500 000 ლარი); ფარცხანაყანევი-მუხიანის მაგისტრალურ მილსადენებზე მიერთებული აბონენტების წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია/ პროექტირება/მშენებლობა (6 996 633 ლარი).

წყალტუბოში ახალი ბიოლოგიურად გამწმენდი ნაგებობა აშენდა

2021-2022 წლებისთვის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფ. გეგუთი, გზის რეაბილიტაცია – 639 999 ლ;
- სოფ. რიონი, სასმელი წყლის ქსელის მოწყობა – 614 005 ლარი;
- სოფ. ოფშკვითი, ინანეიშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით – 318 758 ლ;
- სოფ. ოფშკვითი, კაპანაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით – 286 981 ლ;
- სოფ. ოფშკვითი, მარგველაშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით – 399 948 ლ;
- სოფ.ქვიტირი, ბაბუნაშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით – 494 494 ლ;
- სოფ. წყალტუბო, II უბნისა და სოფ. ჩუნეშის დამაკავშირებელი გზის (I ეტაპის) რეაბილიტაცია ბეტონის საფარით – 550 576 ლ;
- სოფ. თერნალი, ბზიკაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით – 299 150 ლ;
- სოფ.გვიშტიბი, №1 (ბეკნარას უბანი) გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით – 387 537 ლ;
- სოფ. ბანოჯაში 26 ქუჩის, სოფ ხომულში სახერხის უბნისა და წმ. გიორგის ტაძართან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით – 212 484 ლ;
- სოფ. წყალტუბო მე-10 ქუჩის, სოფ.გვიშტიბში ბეკნარას უბნის გაგრძელება, №35 ქუჩისა და სკოლის გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით – 231 730 ლ;
- სოფ. ფარცხანაყანევი, კოპიტნარის დევნილთა დასახლ. სკოლასთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით – 138 872 ლ;
- სოფ. წყალტუბო, II უბნის და სოფ. ჩუნეშის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით – 226 299 ლ;
- სოფ.ქვილიშორი, გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით – 178 955 ლ;
- სოფ. მუხიანი, ბერძენაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით – 189 963 ლ;
- სოფ. წყალტუბო, მაჭარაშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით – 101 678 ლ;
- სოფ. მუხიანი, სულაკაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით – 285 673 ლ;
- სოფ. გეგუთი, გიგიაძეებისა და მაჩალაძეების უბნების გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით – 114 478 ლ;
- სოფ. ფარცხანაყანევი, №29 ქუჩზე გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით – 353 028 ლ;
- წყალტუბო, ჭავჭავაძის ქ.№10, დედა ენის ქ.№9 და ბესიკის ქ.№1 გზების რეაბილიტაცია – 93 144 ლ;
- წყალტუბო, გოგებაშვილის ქ. №2 და 2a – 80 438 ლ;
- სოფ.ქვიტირი, ქუჩა №17, გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით – 60 145 ლ;
- **აქტიურ ფაზაშია რიკოთის უღელტეხილზე საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალის მშენებლობის პროექტი. კერძოდ, ამ ეტაპზე მშენებლობა ერთდროულად მიმდინარეობს ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის, ჩუმათელეთი-ხევის, ხევი-უბისას, უბისა-შორაპნის და შორაპანი-არგვეთას მონაკვეთებზე. აღნიშნული პროექტების ჯამური საინვესტიციო მოცულობა 2,8 მილიარდ ლარს აღემატება. სახელმწიფოს გეგმის თანახმად, 2023 წლამდე სხვადასხვა მონაკვეთების დასრულება ეტაპობრივად იგეგმება.**

ᲒᲔᲜᲐᲓᲘ ᲑᲐᲚᲐᲜᲩᲘᲕᲐᲫᲔ: „ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲩᲔᲛᲡ ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲑᲔᲕᲠ ᲙᲔᲗᲘᲚ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑ“

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ“ ᲒᲔᲜᲐᲓᲘ ᲑᲐᲚᲐᲜᲩᲘᲕᲐᲫᲔᲐ. ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲛᲐᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲐ ᲐᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ – ᲛᲗᲔᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐ ᲐᲥ, ᲡᲝᲤᲔᲚ ᲑᲐᲜᲝᲯᲐᲨᲘ ᲒᲐᲐᲢᲐᲠᲐ ᲓᲐ 2013-2017 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲡᲐᲪ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ. ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐ ᲛᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲥᲐᲛᲓᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ. ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲓᲐᲣᲭᲔᲠᲔᲜ; ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ, ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲨᲘ ᲑᲔᲕᲠ ᲙᲐᲠᲒ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘᲪ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲬᲕᲚᲘᲚᲡ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲡ.

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲒᲔᲜᲐᲓᲘ ᲓᲐᲝᲯᲐᲮᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲰᲧᲐᲕᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲔ ᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲝᲪᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲛᲐᲠᲐᲗᲝᲜᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲨᲔᲘᲢᲧᲕᲔᲡ, ᲛᲮᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲭᲘᲠᲔᲡ. ᲛᲔᲣᲦᲚᲔ, ᲛᲘᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲘᲐ.

ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲒᲔᲜᲐᲓᲘ ᲑᲐᲚᲐᲜᲩᲘᲕᲐᲫᲔ ᲒᲕᲘᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲐᲡ ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲨᲘ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ:

– ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲒᲔᲜᲐᲓᲘ, ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡᲗᲐᲜ ᲠᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲒᲐᲥᲕᲗ?

– ᲩᲔᲛᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲢᲙᲑᲘᲚᲘ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐ ᲐᲥ, ᲡᲝᲤᲔᲚ ᲑᲐᲜᲝᲯᲐᲨᲘ ᲒᲐᲐᲢᲐᲠᲐ. ᲓᲘᲜᲯᲘ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ... ᲕᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲓᲘ, ᲙᲐᲠᲒᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲐᲦᲕᲖᲠᲓᲘᲚᲘᲧᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲗᲣ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ, ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲛᲔᲦᲝ. ᲛᲧᲐᲕᲡ ᲫᲛᲐ, ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲑᲐᲚᲐᲜᲩᲘᲕᲐᲫᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲡᲐᲝᲯᲐᲮᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲨᲘ „ᲚᲐᲓᲘ“ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ. ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ, ᲑᲔᲑᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲑᲣᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲠᲝ. ᲑᲐᲑᲣᲐᲛ ᲘᲪᲝᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲗᲥᲛᲐ: „ᲘᲪᲝᲓᲔ, ᲕᲘᲡᲘ ᲒᲝᲠᲘᲡᲐ ᲮᲐᲠ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲓᲘᲮᲐᲠ“. ᲩᲔᲛᲡ ᲐᲦᲖᲠᲓᲐᲨᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲬᲚᲘᲚᲘ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲘᲡ ᲩᲔᲛᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲡ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ, ᲓᲔᲓᲐᲡ.

– ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ �გᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲨᲘᲪ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲢᲐᲜᲔᲡ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲛᲐ?

– ᲐᲠᲐ, ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ, ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲒᲕᲘᲢᲝᲕᲔᲑᲓᲜᲔᲜ. �გᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲛᲘᲕᲘᲦᲔ. ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲘᲛᲐᲜ ᲘᲥᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲓᲐ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲥᲐᲚᲐᲥ ᲞᲐᲕᲚᲝᲓᲐᲠᲘᲡ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠ-ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲕᲔᲣᲤᲚᲔ.

– ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲘᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ ᲘᲧᲝ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲚᲝ ᲓᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ?

– ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ, ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲕᲔᲙᲘᲓᲔᲑᲝᲓᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ. ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲮᲚᲓᲘᲗ ᲡᲝᲤᲔᲚ �გᲣᲛᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲝᲚᲐᲠᲔ-ᲛᲝᲜᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲔᲓ, ᲐᲛᲐᲕᲔ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲗᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ, ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ

ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ 1966 ᲬᲚᲘᲡ 26 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ.

ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ №29 ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ; 1884-1991 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ Ს�წᲐᲕᲚᲝᲑᲓᲐ Ქ. �პᲐᲕᲚᲝᲓᲐᲠᲘᲡ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ, ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠ-ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲘᲗ.

1990-1991 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲡᲝᲤᲔᲚ �გᲣᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲝᲚᲐᲠᲔ-ᲛᲝᲜᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲔᲓ; 1986-1988 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ – ᲡᲝᲤ. �გᲣᲛᲑᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲐᲓ; 1991-1997 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ – ᲡᲝᲤ. �გᲣᲛᲑᲠᲘᲡ ᲗᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲓ; 2002-2007 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲡᲝᲤ. �გᲣᲛᲑᲠᲘᲡ ᲗᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲐᲓ.

2007-2008 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ �გᲐᲛᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ, �გᲣᲛᲑᲠᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲨᲘ; 2008-2010 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ – ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ �გᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲢᲧᲔᲝ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ, ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲢᲧᲔᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲘᲜ�გᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ; 2013-2014 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ – �წᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ, ᲮᲝᲚᲝ 2014-2017 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ – ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ �გᲐᲛᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ.

ᲤᲚᲝᲑᲡ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲓᲐ �გᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚ ᲔᲜᲔᲑᲡ.

ᲰᲧᲐᲕᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲔ ᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲨᲕᲘᲚᲘ.

გამგებლის რწმუნებული, სატყეო დეპარტამენტის იმერეთის რეგიონული სამმართველოს მონიტორინგის უფროსი, წყალტუბოს საკრებულოს აპარატის უფროსი... თუმცა ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 2014-2017 წლები, როცა გამგებლის მოადგილე გახლდით. ამ პერიოდში და ზოგადად, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, ჩემს მშობლიურ წყალტუბოში ბევრი რამ გაკეთდა.

– მაინც რა მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა წყალტუბოში „ქართული ოცნების“ პირობებში?

- 2014-2017 წლებში გახლდით მასშტაბური პროექტების თანამონაწილე: მუნიციპალური განვითარების ფონდის, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ცენტრალური პარკი, ცივი ტბა, წრიული გზა, შადრევნები, არხები მოეწყო. სოციალურად დაუცველთათვის და მრავალშვილიანებისთვის მოხდა საცხოვრებელი სახლის შეძენა. თამარ მეფის ქუჩაზე იძულებით გადაადგილებულ პირთათვის დაიწყო საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა.

– ეს არის მთავარი მიზეზი, რის გამოც „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი ხართ?

– არა მხოლოდ... ზოგადად, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის დღიდან ქვეყანაში დამყარდა დემოკრატია, განმტკიცდა საკონსტიტუციო რეფორმებით საპარლამენტო მმართველობა, პოლიტიკისგან გამიჯნულია მართლმსაჯულება, საჯარო ინსტიტუციები, კანონის უზენაესობაა და ტარდება სამართლიანი გამჭვირვალე არჩევნები. ამასთან, პრიორიტეტული გახდა ახალგაზრდები და მათზე ზრუნვა, განათლება.

– დღეს წყალტუბოს მერობისთვის იბრძვით. რა მიმართულება იქნება თქვენთვის პრიორიტეტული და რა გეგმები გაქვთ მშობლიურ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით?

– პირველ რიგში, ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მმართველ გუნდს გამოცხადებული ნდობისთვის. მადლობელი ვარ იმ უდიდესი მხარდაჭერისთვისაც, რომელიც ხელისუფლებისგან წყალტუბოს აქვს. ამ ფონზე აუცილებელიცაა, მაქსიმალურად გავაკეთოთ ყველაფერი ხვალინდელი დღისთვის. აუცილებლად უნდა შევეხო ჩვენი პარტიის დამფუძნებლის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის ფაქტორს, რომელიც წყალტუბოს დაუდგა გვერდით. ის წინსვლა, ის სიკეთე, რაც აქ ხდება, ბატონი ბიძინას დამსახურებაა. პანდემიის დროს, როდესაც ყველაფერი შეჩერდა აქ არაფერი შეჩერებულა. დღეს უამრავი რამ კეთდება, ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება ჩვენს ქალაქში, მუნიციპალიტეტში. სამუშაოები მუდმივად მიმდინარეობს. წყალტუბო ისტორიული ქალაქია, განათლებული ხალხით, რომლებიც ხვალინდელ დღეს განსაზღვრავენ, იღვწიან და ეფერებიან იმ ლამაზ სიმდიდრეს, რომელიც გაგვაჩნია. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი მდიდარია ისტორიული ძეგლებით, კასტრული მღვიმეებითა და ღირსშესანიშნაობებით, მაგრამ არსებობს სრულიად გამორჩეული ადგილები, რომლებიც შეგვიძლია, მიზიდულობის კერად გარდავქმნათ. სწორედ ასეთია უნიკალური, სამკურნალო, სარეაბილიტაციო და ტურისტული პოტენციალის ქალაქი წყალტუბო, რომელიც ცნობილია, როგორც ბალნეოკურორტი. აქ განვითარებულია ტურიზმი და ამ ტურიზმით წინსვლა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ხვალინდელი წყალტუბო. ამას სწორად გამოყენება, იმგვარი ინვესტიციების მოზიდვა სჭირდება, რაც ქალაქის მდგრად განვითარებას, მასთან ერთად კი წყალტუბოელების შემოსავლების ზრდას, მათ დასაქმებას უზრუნველყოფს.

– როგორ ფიქრობთ, წყალტუბოელები მხარს დაგიჭერენ?

– დარწმუნებული ვარ, გავიმარჯვებთ. ძალიან კარგად ვიცი, რა ხდება ჩემს ქალაქში, სოფლად. ასევე ვიცი, რა უნდა გავაკეთოთ. დარწმუნებული ვარ, ჩემს წყალტუბოელებთან ერთად ბევრ კეთილ საქმეს გავაკეთებ და შედეგს ჩვენ ერთად დავინახავთ. გაივლის 4 წელიც და უკან მოხედვის არ შეგვრცხვება. მინდა ჩემს წყალტუბოელებს მოვუწოდო, დავუდგეთ ერთმანეთს გვერდით და 2 ოქტომბერს ღირსეულ გამარჯვებას მივაღწიოთ. მე სურვილი მაქვს, რომ წყალტუბომ გაიმარჯვოს და ჩვენ მზად ვართ ამ გამოწვევებისთვის.

ჯანმრთელობის დაცვა

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით წყალტუბოს მუნიციპალიტეტზე** გამოყოფილი 67 912 189 ლარით დაფინანსდა 126 009 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (2 815 066,4 ლარით 188 613 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (5 355 919 ლარით 73 456 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (42 833 757 ლარით 28 770 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (9 322 842 ლარით 8 863 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (2 452 409 ლარით 4 071 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (3 733 566 ლარით 7 408 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით, **წყალტუბოს მუნიციპალიტეტში** დაფინანსდა 4 615 ბენეფიციარი (291 127 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **წყალტუბოს მუნიციპალიტეტში** 93%-დან 97,3%-მდე გაიზარდა იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **წყალტუბოში,** სტაციონარული მკურნალობით 217-მა (733 637 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 2 620-მა პაციენტმა (248 375 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **მუნიციპალიტეტში** ანტენატალური სერვისის მიმღებია 6 343 ორსული (346 289 ლარი), მედიკამენტებით უზრუნველყოფილი – 1551.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **წყალტუბოს მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 1 864 პირი (369 067 ლარი).**

2012 წლის შემდეგ, **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის** მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **წყალტუბოში,** 2013-2021 წლებში, სულ 528 შემთხვევა 1072 229 ლარით დაფინანსდა. **2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **წყალტუბოს მუნიციპალიტეტს 36 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

2013 წელთან შედარებით გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 93.5 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 51,7 ათასი ლარი იყო.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, 2012-2021 წლებში, ჯანდაცვის სფეროში ახორციელებს არაერთ პროგრამას, მათ შორის: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების გეგმური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციები, მათ შორის თვალის კოსმეტიკური სახის ან ცხვირის რინოპლასტიკის რეკონსტრუქციული ფორმის ოპერაციები, (სამედიცინო ჩვენებით), სხვა სამედიცინო მომსახურება.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს ეპილეფსიით დაავადებულთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფის პროგრამას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს კოხლეალური იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარების პროგრამას.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **წყალტუბის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო პენსიის მიმღებია (01.04.2021 წ. მდგომ.) 12 388 პირი. 2012 წლის შემდეგ, 2,3-ჯერ – 14 944 547-დან 33 720 448 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ 214 272 234 ლარი დაიხარჯა.

სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **წყალტუბოში,** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 277 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4,1-ჯერ – 421 596-დან 1 736 032 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 12 298 112 ლარი გაიცა.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. **წყალტუბოს მუნიციპალიტეტში,** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 1 877 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 3 493 ათასიდან 3 813 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 26 159 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 10 363 ათასი ლარი, შშმ პირებზე – 4 979 ათასი, ბავშვებზე – 10 772 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებული პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **წყალტუბოში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 3 010 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5,2-ჯერ – 1 012 412-დან 5 261 530 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 35 840 361 ლარი. **წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 4 366 დევნილია** (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ 965 554-დან 2 475 191 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში სულ დაიხარჯა 18 480 750 ლარი. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დაკმაყოფილდა 647 დევნილი ოჯახი, მათ შორის: 199 ოჯახს გადაეცა ბინა ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში, პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 70 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 475 ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, დამატებით, 1359 დევნილი ოჯახი განსახლდება, მათ შორის წყალტუბოში 420. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) **წყალტუბოში,** დაფინანსებულია 231 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 2 270 200 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 396 500 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან **წყალტუბოს მუნიციპალიტეტზე** – 2 829 995 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს, **წყალტუბოს მუნიციპალიტეტიდან,** ჩართული იყო 1268 ოჯახი, 2021 წელს (06.2021 წ. მდგომ.) – 1353 ოჯახი. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით მუნიციპალიტეტში, 2020 წელს ისარგებლა 262-მა პირმა, 2021 წელს (06.2021 წ. მონაცემ.) – 289-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით) – პროგრამაში, 2020 წელს, ჩაერთო 770 პირი, 2021 წ. მონაცემ. – 781.

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამით, დასაქმების სახელწიფო სააგენტო კომპენსაციებს გასცემს იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი -2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა **ფორმალურმა/არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა,** ჯამში, 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციები გაიცა იმ პირებზე, **ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა** (121 634 პირზე ჯამში 36 490 200 ლარი). **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში,** დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციით (6 თვე, თვეში – 200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, სოციალური დახმარების მიზნით, კომპენსაცია ჯამში მიიღო: 2020 წელს – 162 271-მა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს – ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, დასრულდა ამბულატორიების სრული/ნაწილობრივი რეაბილიტაცია სოფლებში: მაღლაკი, ფარცხანაყანევი ოფურჩხეთი, მექვენი, დღნორისა, მუხიანი ოფშკვითი, წყალტუბო. დაგეგმილია სარემონტო სამუშაოები სოფლებში: საყულია, გვიშტიბი, ქვიტირი, პატრიკეთი, ტყაჩირი, გეგუთი, ცხუნკური, გუმბრა, მექვენა, რიონი, სორმონი, ოფურჩხეთი. ასევე დაგეგმილია – ქ. წყალტუბოში სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის ოფისის მშენებლობა. **დევნილთა განსახლება:** 2013-2014 წლებში, განხორციელდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, მათ შორის წყალტუბოში, არსებული შენობის რეაბილიტაცია (335 ბინა, სულ 11 940 101 ლარი); ქ. ქუთაისი, **წყალტუბო** – იძულებით გადაადგილებულ პირთა 6 კოლექტიური ცენტრის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები (სულ – 3 726 983 ლარი). სანატორიუმების „წყალტუბო“, „ინტურისტი“, „სამგურალი“, „მეტალურგი“ ნაწილობრივი რეაბილიტაცია (363 813 ლარი). ქ. წყალტუბოში, 9 აპრილის ქ.19 10-სახლიან სადარბაზოების ამოშენება-შემინვა (65 888 ლარი). ქ. ფოთი, ქ. ქუთაისი, **წყალტუბო** (მათ შორის, წყალტუბოში, დამატებითი სამუშაოები ყოფილი „ელმეურნეობა“, სანატორიუმის შენობაში, – 8 920 ლარი). 2019-2020 წ.წ. **სოფელ გვიშტიბში** 2 (ორი) მრავალბინიანი სახლის მშენებლობა (4 593 345 ლარი) და 2019-2021 წ.წ. მრავალბინიანი 6 სახლის სამშენებლო სამუშაოები (28 999 000 ლარი); 2020 წ. – **ქ. წყალტუბო,** თამარ მეფის ქუჩაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებულ პირთათვის შენდება 12 სართულიანი 8 კორპუსი (32 000 000 ლარი).

2013 წელთან შედარებით გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა 1458.1 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 860,7 ათასი ლარი იყო.

მუნიციპალიტეტი, 2012-2021 წლებში, სოციალური დაცვის სფეროში, ახორციელებს შემდეგ პროგრამებს: დღეგრძელ პირთა დახმარება; მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება; დევნილთა სარიტუალო ხარჯი; სამშობლოს დაცვისას და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ხარჯი; ცერებრალური დამბლით დაავადებულ პირთა დახმარება; შეჭირვებული ოჯახების ფულადი დახმარება; სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება; უჭირისუფლო გარდაცვლილთა ოჯახების თანადაფინანსება; ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარება.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტის საპენსიო ასაკის პირთა პენსიით უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, რაც ითვალისწინებს სახელმწიფო პენსიის ინდექსაციას და უზრუნველყოფს საპენსიო ასაკის მოსახლეობისათვის სოციალური გარანტიების შექმნას;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება შრომის უსაფრთხოებისა და დასაქმების ეფექტიანი პოლიტიკა;
- გაგრძელდება ცირკულარული შრომითი მიგრაციის სფეროში გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ დროებით ლეგალურად დასაქმების ხელშეწყობა.
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამასა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების მხარდაჭერის პროგრამას.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠᲒᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების საagენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების საagენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია. წყალტუბოში ფუნქციონირებს 23 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 4 – ქ. წყალტუბოშო, 19 – სოფლად.

2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა წყალტუბოში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება. 2020 წელს, განათლების მიმართულებით, მუნიციპალიტეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 4 მლნ 756 ათასი ლარით განისაზღვრა, მათ შორის 2 მლნ 342,3 ათასი ლარი – სკოლამდელი განათლების მიმართულებით. 2013 წელს კი შესაბამისმა დაფინანსებამ 742,1 ათასი ლარი შეადგინა.

2013-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია. მათ შორის: 2013 წელს, რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა 11 საბავშვო ბაღის რეაბლიტაცია, რაზეც, ჯამში, 239, 2 ათასი ლარი დაიხარჯა. **2014 წელს,** რეგიონული განვითარების ფონდიდან, საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის 10 პროექტი განხორციელდა (ჯამში, 172, 9 ათასი ლარი). **2015 წელს** საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის 13 პროექტზე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან და რეგიონული განვითარების ფონდიდან, საერთო ჯამში, 281,5 ათასი ლარი დაიხარჯა. **2016 წელს** საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის 6 პროექტი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან და რეგიონული განვითარების ფონდიდან, ჯამში, 1 მლნ 35, 7 ათასი ლარით დაფინანსდა. **2017 წელს** რეაბილიტაცია ჩაუტარდა ოფშკვითისა და თერნალის საბავშვო ბაღებს (ადგილობრივი ბიუჯეტიდან 130, 8 ათასი ლარი) გარემონტდა ქალაქის №2 (290,5 ათასი ლარი) და ოფშკვითის №14 (87,6 ათასი ლარი) საბავშვო ბაღები. ასევე საბავშვო ბაღები გაიხსნა რიონსა და ცხუნკურში. **2018 წელს:** განხორციელდა გვიშტიბის საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია (103,6 ათასი ლარი); ყველა საბავშვო ბაღში სტანდარტების მიხედვით მოეწყო სამზარეულო და სათავსო (ჯამში, 178,3 ათასი ლარი). სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა თერნალის საბავშვო ბაღს (102,5-ათასი ლარი). **2019 წელს,** რეგიონული განვითარების ფონდმა 20 ათასი ლარით დააფინანსა სოფ. მაღლაკის საბავშვო ბაღის გათბობის სისტემის მოწყობა, 20 ათასი ლარით – ფარცხანაყანევის საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა. განხორციელდა კოპიტნარის საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია (82,4 ათასი ლარი); ქალაქის ოთხივე ბაღში, ასევე, თერნალისა და გვიშტიბის საბავშვო ბაღებში დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემები, შეიძინეს ელექტროქურები (43,8 ათასი ლარი). გაიხსნა ხომულის საბავშვო ბაღი და სხვ.

2020 წელს წყალტუბოში აშენდა ახალი საბავშვო ბაღი, სხვადასხვა ტიპის ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებს, მათ შორის, განხორციელდა ძაბვის საფეხურის ცვლილება 23-ვე საბავშვო ბაღში (98 ათასი ლარი). **კორონაპანდემიის გამო ვერ განხორციელდა შემდეგი პროექტები:** ქ. წყალტუბოს №3, მაღლაკის №6, ოფშკვითის №14 საბავშვო ბაღების რემონტი. რაც შეეხება ქალაქის ტერიტორიაზე ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობას, გაფორმებულია მემორანდუმი მუნიციპალიტეტის მერიასა და ლტოლვილთა დანიის საბჭოს შორის, პროექტი საჭიროებს მცირე კორექტირებას, რეგიონული

განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, რის შემდეგაც დაიწყება მშენებლობის პროცესი. **2021 წელს –** შემოიღობა რიონის №19 საბავშვო ბაღის ეზო. პანდემიის პრევენციასთან დაკავშირებით, შეძენილ იქნა რეკომენდაციით მითითებული საჭირო ინვენტარი. მიმდინარეობს ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა ქ. წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩის დევნილთა დასახლებაში (1 მლნ 600 ათასი ლარი).

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში **აღსაზრდელთა რაოდენობა** 1100-დან 17000-მდე გაიზარდა. 24-დან 45 ლარამდე გაიზარდა **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე, სრულფასოვანი გახდა ბავშვთა კვების რაციონი. **სასკოლო მზაობის პროგრამა** დანერგილია 22 საბავშვო ბაღში, რომლებშიც 434 ბავშვია. სულ დასაქმებულია 122 აღმზრდელი, რომელთა ხელფასებიც 400 ლარამდე გაიზარდა. საბავშვო ბაგა-ბაღებს 24 ექიმი/ექთანი და 4 ფსიქოლოგი და 1 ლოგოპედი ემსახურება.

ზოგადი განათლება

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში არსებული 40 საჯარო სკოლა, ქალაქში – 4, სოფლად – 36 (მათ შორის 4 – მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე სოფელში). სკოლებში 5141 მოსწავლე, 736 მასწავლებელია (მათ შორის, 65 – სპეციალური მასწავლებელი). მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 64 სსსმ მოსწავლე. ექიმის კაბინეტი ფუნქციონირებს 7 საჯარო სკოლაში.

2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, განახორციელა სხვადასხვა პროგრამა, მათ შორის: 2017 წელს, საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პროგრამით, სოფ. გუმათის საჯარო სკოლას 4 კომპიუტერი გადაეცა; 2017-2020 წლებში, სკოლებს 1521 **სასკოლო ჟურნალი** და 123 117 **სახელმძღვანელო** უსასყიდლოდ გადაეცათ. პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“, 2013-2019 წლებში,** ჯამში, 3119 პირველკლასელს, 248 კლასის დამრიგებელსა და 115 წარჩინებულ მოსწავლეს საჩუქრად კომპიუტერები გადაეცა (მათ შორის, 2017-2019 წლებში, პირველკლასელებს – 1425, დამრიგებლებს – 114). 2017-2019 წლებში, **წარჩინებულ მოსწავლეთა წახალისების პროგრამით,** კომპიუტერებით დასაჩუქრდა 82 მოსწავლე. 2013-2019 წლებში, მუნიციპალიტეტში, ჯამში, 142 **ოქროს** და **ვერცხლის** მედალოსანი გამოვლინდა (მათ შორის, 2018-2019 წლებში, 40 ოქროსა და 11 ვერცხლის მედალოსანი). **ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ინსტრუმენტები,** მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობი შეფასებისა და სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ინტეგრირების სისტემები (ახალი სკოლის“ მოდელი), 2020 წელს, 1 სკოლაში დაინერგა, 2021 წელს კი, დამატებით, 5 საჯარო სკოლაში. 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** საჯარო სკოლების უზრუნველყოფის 45, **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 41 პროექტი განხორციელდა. კორპორატიული სტანდარტის უსადენო ქსელით 2 სკოლაა უზრუნველყოფილი. **ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში** ჩართულია 22 საჯარო სკოლის (37 მიმართულება) 519 მოსწავლე (2018-2019 ს/წ I სემესტრ.).

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, განხორციელდა 63 ინფრასტრუქტურული პროექტი, მათ შორის, ნაწილობრივი რეაბილიტაციის 48 პროექტი. იმავე პერიოდში, **შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ღქურვის 66 პროექტი განხორციელდა. მუნიციპალიტეტში **31 ადაპტირებული** საჯარო სკოლაა. ცენტრალური გათბობით აღჭურვილია 13 საჯარო სკოლა.

2013 წელს ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 8 საჯარო სკოლას, რაზეც სულ 671,4 ათასი ლარი დაიხარჯა. **2014 წელს** განხორციელდა 15 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, მათგან 6 საჯარო სკოლაში განხორციელდა გაზიფიცირებაც – სულ 1 მილიონ 378,7 ათასი ლარი დაიხარჯა. **2015 წელს** 4 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია და 2 საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახის მოწყობა სულ 567,4 ათასი ლარით დაფინანსდა. **2016 წელს** განხორციელდა 5 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია და 2 საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახების მოწყობა (სულ 48,7 ათასი ლარი). **2017 წელს** ქ. წყალტუბოსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელდა სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურული სამუშაოები, მათ შორის, ფარცხანაყანევის №2 საჯარო სკოლის რეაბილიტაციაზე 122, 3 ათასი ლარი დაიხარჯა; მუხიანის საჯარო სკოლის რეაბილიტაციას 166,9 ათასი ლარი მოხმარდა; დაიწყო სოფელ გუმათის მცირეკონტინგენტიანი ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, რომელიც **2018 წელს** დასრულდა და რაზეც 470, 7 ათასი ლარი დაიხარჯა. იმავე წელს, დაფინანსდა საჯარო სკოლებში გათბობისა და წყალმომარაგების სისტემების, სახურავებისა და კედლების რეაბილიტაციის სხვადასხვა პროექტი. **2019 წელს**: წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განხორციელდა საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 16 პროექტი, რაზეც რეგიონული განვითარების ფონდიდან 795,5 ათასი ლარი დაიხარჯა; დაიწყო და ამჟამად მიმდინარეობს წყალტუბოსთვის უმნიშვნელოვანესი პროექტი – პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა, 5 მლნ 655 ათასი ლარი მოხმარდება.

ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით, 2019 წელს – საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 15 პროექტი 732,6 ათასი ლარით დაფინანსდა. სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა: ბანოჯის, გვიშტიბის, მაღლაკის, ოფშკვითის, პატრიკეთის, რიონის, სოფელ წყალტუბოს მე-2 უბნის, ტყაჩირის, ფარცხანაყანევის, ქვილიშორის, ყუმისთავის, წყალტუბოს №1, №2, №3 და №4 საჯარო სკოლებში. **2020 წელს,** დაფინანსდა საჯარო სკოლების სველი წერტილების რეაბილიტაცია – 33 პროექტი, რაზეც საერთო ჯამში, 2 მლნ 53,9 ათასი ლარი დაიხარჯა. იმავე პროგრამიდან, **2021 წელს დაფინანსებულია:** მამუკა სამაკაშვილის სახელობის წყალტუბოს №2 საჯარო სკოლაში კარ-ფანჯრის შეცვლა (14,1 ათასი ლარი); სოფ. მუხიანის საჯარო სკოლის უკანეთის დაწყებითი სკოლის ფილიალში სახურავის რეაბილიტაცია (13,3 ათასი ლარი); ოტია იოსელიანის სახელობის №1 საჯარო სკოლაში შენობებს შორის არსებული სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია (10,3 ათასი ლარი), სოფელ გვიშტიბის საჯარო სკოლაში გათბობის სისტემის მოწყობა (29,6 ათასი ლარი).

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, ამჟამად მიმდინარეობს სოფელ გეგუთის №1 საჯარო სკოლის ახალი შენობის მშენებლობა, პროექტის ღირებულება 3 მლნ 500 ათასი ლარია. ასევე, სოფელ წყალტუბოს ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის საჯარო სკოლის ახალი შენობის მშენებლობა, რომელზეც 3 მლნ 694,4 ათასი ლარი დაიხარჯება.

პროფესიული განათლება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ თერნალში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერითა და ადგილობრივი თვითმმართველობის აქტიური ჩართულობით, მიმდინარეობს 150 მოსწავლეზე გათვლილი, პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა-მოწყობის სამუშაოები. თანამედროვე სტანდარტებისა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი კოლეჯის მშენებლობაზე 6 მლნ-მდე ლარი დაიხარჯება. სასწავლებელი მსურველებს ტურიზმის, საინჟინრო-ტექნოლოგიებისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებების პროგრამებს შესთავაზებს. 2017-2020 წლებში, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, პროფესიული უნარების დანერგვის მიზნით, 24 პროგრამა განხორციელდა (70,4 ათასი ლარი). 2014-2021 წლებში, საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების კურსი 47-მა პირმა გაიარა.

უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლიდან **სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მოიცავს იმერეთის რეგიონის (ბაღდათი, საჩხერე, ტყიბული, წყალტუბო, ჭიათურა, ხარაგაული და ხონი)** მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლის კურსდამთავრებულებს, 2018-2019 სასწავლო წელს იმერეთის რეგიონიდან დაფინანსდა 12 სტუდენტი, 2019-2020 სასწავლო წელს – 12 სტუდენტი. 2020-2021 სასწავლო წელს 12 სტუდენტი.

„ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო; გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია: განხორციელდება საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია გეგუთში, გვიშტიბსა და თერნალში, აშენდება ახალი საბავშვო ბაღები წყალტუბოსა და ვარციხეჰესის დასახლებაში (სოფ. გეგუთი); საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- **2022-2023 წლებში** დაგეგმილია: გეგუთის საბავშვო ბაღის მიშენებითი სამუშაოები, ვარციხეჰესებში ახალი საბავშვო ბაღისთვის შესაბამისი ფართის რემონტი, ოფურჩხეთის საბავშვო ბაღისთვის ახალი ალტერნატიული ფართობის გამოყოფა და რემონტი, ყველა საბავშო ბაღის ეზოების ინფრასტრუქტურის მოწყობა დადგენილი სტანდარტის შესაბამისად;
- **2022-2024 წლებში დაგეგმილია:** სოფ. პატარიკეთის №12 საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია (22,3 ათასი ლარი), სოფ. ოფურჩხეთისა (20 ათასი ლარი) და თერნალის (10 ათასი ლარი) საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია; საჭიროების შემთხვევაში ჯგუფების დამატება;
- **2024 წელს დაგეგმილია** ქალაქის №2, ცხუნკურისა და გუმბრის საბავშვო ბაღების რემონტი;
- **2025 წლამდე დაგეგმილია** საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის 8 პროექტი, რომლებსაც რეგიონული განვითარების ფონდი, ჯამში, 1 მლნ 480 ათასი ლარით დააფინანსებს. მათ შორის, ახალი საბავშვო ბაღი აშენდება ქ. წყალტუბოში, რაზეც 500 ათასი ლარი დაიხარჯება;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება წყალტუბოში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- **2021-2025 წლებში** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის 16 პროექტია დაგეგმილი, რასაც, რეგიონული განვითარების ფონდიდან, ჯამში, 812 ათასი ლარი მოხმარდება.
- 2021-2024 წლებში დაგეგმილია პროფესიულ-საგანმანათლებლო დაწესებულების მშენებლობა სოფ. თერნალში, რომელიც ყოველწლიურად 100 სტუდენტს მიიღებს სასტუმრო ბიზნესისა და სამკურნალო ტურიზმის მიმართულებებით;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება პროფესიულ-საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, Ს�პᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ �პᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-�პᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

წყალტუბოში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული კულტურის დაწესებულებები: ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“, წყალტუბოს სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“, გეგუთის და მაღლაკის კულტურის სახლები, ა(ა)იპ „ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“, მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი, სამუსიკო სასწავლებელი, სამხატვრო სასწავლებელი, მთავარი ბიბლიოთეკა, №1 საბავშვო ბიბლიოთეკა, 26 სოფლის ბიბლიოთეკა, 9 სოფლის კლუბი, ანსამბლი „ნადური”, ანსამბლი „სიონი”, ანსამბლი „იალონი“, გიორგი ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (ქალაქ წყალტუბოში), ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმი (სოფელ ჩუნეშში) და გიორგი ახვლედიანის სახლ-მუზეუმი (სოფელ დერჩში).

2020 წელს, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, კულტურის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა 1 მლნ 166 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 636,7 ათასი ლარი იყო.

2014-2021 წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში. მუნიციპალიტეტში იმართება სახალხო დღესასწაულები, ლიტერატურული და მუსიკალური საღამოები, სპექტაკლები, ეწყობა გამოფენები (ეთნოგრაფიული, მხატვართა და სხვ.) და კონკურსები, ტარდება სამეცნიერო და შემოქმედებითი კონფერენციები და ფესტივალები (საერთაშორისო არტ-ფესტივალი, „წყალტუბოს ხელოვნების ფესტივალი“ ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი და სხვ.).

2014-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები. მათ შორის:

2014-2015 წლებში – სოფელ გეგუთის კულტურის სახლის რეაბილიტაცია, სოფელ მუხიანის სოფლის ბიბლიოთეკის კეთილმოწყობა – 10,3 ათასი ლარი; სოფელ გვიშტიბის, ქვედა მესხეთისა და გუბისწყლის სასოფლო კლუბების რეაბილიტაცია – 98,6 ათასი ლარი;

2015 წელს – წყალტუბოს საკონცერტო დარბაზ „ივერიის“ რეაბილიტაცია (268,9 ათასი ლარი), კულტურისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის რეაბილიტაცია, გეგუთის კულტურის სახლის რეაბილიტაცია, წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობის გადახურვა – 10,9 ათასი ლარი;

2016 წელს – სოფელ ჩუნეშში ნ. ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია (75,8 ათასი ლარი), მაღლაკის კულტურის სახლის რეაბილიტაცია), რაზეც სულ 4 მლნ 158,7 ათასი ლარი დაიხარჯა.

2017 წელს განხორციელდა სოფელ საყულიასა და ოფშკვითის სასოფლო კლუბების რეაბილიტაცია, რაზეც, საერთო ჯამში, 30,6 ათასი ლარი დაიხარჯა.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინიასტროს მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში შემდეგი პროექტები განახორციელდა:

2013 წელს დერჩის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნართექსთა კედლის მხატვრობის კონსერვაციის სამუშაოებზე 50 ათასი ლარი დაიხარჯა.

2014 წელს გეგუთის სასახლის საკონსერვაციო სამუშაოებს (I ეტაპი) 68,5 ათასი ლარი მოხმარდა, გეგუთის ვიზიტორთა სახლის სახურავის რეაბილიტაციასა და სხვა მცირე სარემონტო სამუშაოებზე 38 ათასი ლარი დაიხარჯა. იმავე წელს, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსდა სოფელ მუხიანის ბიბლიოთეკის კეთილმოწყობა – 10, 3 ათასი ლარი;

2016-2017 წლებში გეგუთის კომპლექსის ინტერნეტგვერდის მოწყობის სამუშაოებისთვის სამინისტრომ (კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო) 356,6 ათასი ლარი დახარჯა.

2014-2015 წლებში ქ. წყალტუბოს თეატრის შენობის (გამგეობს შენობასთან ერთად) რეაბილიტაციაზე 2 მლნ 618,2 ათასი ლარი დაიხარჯა.

2015 წელს განხორციელდა გეგუთის სასახლის არქეოლოგიური სამუშაოები (40 ათასი ლარი);

2016 წელი: გეგუთის კომპლექსის მოწყობის სამუშაოები (78, 4 ათასი ლარი), ხვამლის მთა – არქეოლოგიური მომსახურება (23 ათასი ლარი).

2017 წელი: მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაცია – 15, 7 ათასი ლარი; მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ქორეოგრაფიული დარბაზის რემონტი – 8, 4 ათასი ლარი; სამუსიკო სასწავლებლის რემონტი – 2, 9 ათასი ლარი;

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში 2017 წელს **შეიქმნა** არსებული შენობის ბაზაზე გეგუთის სასახლის მცირე არქეოლოგიური მუზეუმი, წყალტუბოს ხელოვნების ფესტივალი – გამოფენები, პერფორმანსები, ვორქშოფები და მასტერკლასები (8 ათასი ლარი, 2017); ოტია იოსელიანის საკვირაო სკოლა (კულტურის სამინისტროს დაფინანსებით).

2018 წელს სოფელ ოფურჩხეთის ბიბლიოთეკის კეთილმოწყობას 34 ათასი ლარი მოხმარდა.

რეგიონებში კულტურის მხარდაჭერის მიმართულებით, **2018 წელს** (ბიუჯეტი – 1 მლნ 520 ათასი ლარი), განხორციელდა 57 აქტივობა. მათ შორის, ჩატარდა წყალტუბოს ხელოვნების ფესტივალი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტს ფარავს „ისტორიული თერმული ქალაქების ევროპული მარშრუტი საქართველოში“, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

წყალტუბოში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, ა(ა)იპ „წყალტუბო არენა“, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „სპორტული კლუბების გაერთიანება“, რომლის შემადგენლობაშია: სარაგბო კლუბი „დინოზავრი“, ხელბურთის კლუბი „წყალტუბო“, ფრენბურთის კლუბი „წყალტუბო“, ფალავანთა კლუბი „ძიუდო“, კალათბურთის წრე, კრივის წრე, მკლავჭიდის წრე, მძლეოსნობის წრე, ჭადრაკის წრე და ფიტნესკლუბი.

2020 წელს „სპორტული კლუბების გაერთიანებაში 389 მოსწავლე და სპორტის სხვადასხვა სახეობის 23 მწვრთნელი იყო გაერთიანებული.

2020 წელს სპორტის მიმართულებით მუნიციპალიტეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 854,9 ათასი ლარით განისაზღვრა, 2013 წელს კი შესაბამისმა დაფინანსებამ 520,8 ათასი ლარი შეადგინა.

2014-2021 წლებში მუნიციპალიტეტში მინისტადიონების მოწყობის არაერთი პროექტი განხორციელდა. მათ შორის:

2014 წელს: სოფელ ზედა მესხეთში (შალამბერიძეების უბანში) სპორტული მინისტადიონის მოსაწყობად რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით 3 ათასი ლარის მასალები შეიძინეს; სოფ. მაღლაკში (კოსტავეების უბანი) სპორტული მოედნის წინ გარე განათების მოწყობა რეგიონული განვითარების ფონდიდან (რგფ) 5 ათასი ლარით დაფინანსდა; სოფ. მაღლაკში (დოლაბერიძების უბანი) არსებული სპორტული მოედნისათვის შემოსარაგვი მასალების შეძენა – 3 ათასი ლარი (რგფ); სოფ. საყულიაში სოფლის ცენტრში სპორტული მოედნისთვის ტერიტორიის გამოყოფა, შემორაგვა და კეთილმოწყობა – 15 ათასი ლარი (რგფ); სოფ. წყალტუბოში (მეორე უბანი), გურეშების უბანში, სტადიონის კეთილმოწყობისათვის მიწის სამუშაოების შესრულება – 1, 5 ათასი ლარი (რგფ).

2015 წელს: ქ. წყალტუბოს 26 მაისის სახელობის ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის რეაბილტაცია – 558,8 ათასი ლარი (რგფ); სპორტული მოედნების რეაბილიტაცია ქ. წყალტუბოში ტაბიძის, კოლხეთის, ჭავჭავაძის, დედაენის ქუჩებზე – 30 ათასი ლარი (რგფ); სპორტული მოედნების მოწყობა სოფელ ფარცხანაყანევსა (კოპიტნარის დასხლებაში) და სოფელ გეგუთში – 22 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი); სპორტული მინისტადიონისთვის მასალების სეძენა სოფელ ოფშკვითში – 2 ატასი ლარი (რგფ); მინისტადიონის ასფალტირება და შემორაგვა სოფელ ზედა მესხეთში – 10,9 ათასი ლარი (რგფ); მინისტადიონის ღობის ამაღლება და გარე ეზოსთვის ძელსკამის შეძენა სოფელ ქვედა მესხეთში – 6 ათასი ლარი (რგფ); მინისტადიონის მოწყობისთვის მასალების შეძენა სოფელ ბანოჯაში – 3,2 ათასი ლარი (რგფ); მინისტადიონის მოწყობა სოფელ მაღლაკში – 6 ათასი ლარი (რგფ).

2016 წელს: სპორტული მინისტადიონის მოწყობა სოფელ მაღლაკში – 9,3 ათასი ლარი (რგფ); მინისტადიონების რეაბილიტაცია სოფელ ქვიტირში – 33,3 ათასი ლარი (რგფ); მინისტადიონის რეაბილიტაცია სოფელ ზედა მესხეთში – 17,2 ათასი ლარი (რგფ); მინისტადიონის მოწყობა ქ. წყალტუბოში, თამარ მეფის ქუჩაზე – 14,7 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი); მინისტადიონის რეაბილიტაცია ქ. წყალტუბოში დევნილთა დასახლებაში – 2,2 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი).

2017 წელს: სპორტული მინისტადიონის შემოღობვა-რეაბილიტაციის სამუშაოები სოფელ ფარცხანაყანევში – 30,9 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი); მინისტადიონის მოწყობის სამუშაოები სოფელ მაღლაკსა და ქ. წყალტუბოში, ავალიანის ქუჩაზე – 31 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი); მინისტადიონების შემოღობვისათვის

320 მეტრი მავთულბადის შესყიდვა სოფელ გვიშტიბში – 1,3 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი).

2018 წელს: სპორტული მინისტადიონის მოწყობა სოფელ მეორე უბანში (გორესთავის უბანში) – 27,5 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი); მინისტადიონის მოწყობა სოფელ მეორე უბანში (სოფლის კლუბთან) – 27,2 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი); ასევე, განხორციელდა ქ. წყალტუბოს 26 მაისის სახელობის ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაცია – 562 ათასი ლარი (რგფ).

2019 წელს სპორტული მინისტადიონი მოეწყო სოფელ ქვედა მესხეთში – 20 ათასი ლარი (რგფ).

2020 წელს: სპორტული მინისტადიონების რეაბილიტაცია და სტადიონების მოწყობა ქ. წყალტუბოსა და სოფლებში: ჟონეთში, მაღლაკსა და წყალტუბო – 95,5 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი); მინისტადიონების მოწყობა ქ. წყალტუბოსა და სოფლებში: გეგუთი, ქვიტირი და ფარცხანაყანევი – 120 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი).

ამჟამად **მიმდინარეობს** სპორტული მინისტადიონის რეაბილიტაცია ქ. წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩაზე – 30 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი).

მუნიციპალიტეტში სპორტის პრიორიტეტული სახეობებია: ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ხელბურთი, ძიუდო, მძლეოსნობა, ფეხბურთი, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, ტაეკვონდო, კალათბურთი, მკლავჭიდი და ველორბოლა.

2021 წელს, ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიადის ერთ-ერთი ტრიუმფატორი წყალტუბოს წარმომადგენელი აღმოჩნდა – ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე მძიმეწონოსანი, იაკობ ქაჯაია ოლიმპური ვერცხლის მფლობელი გახდა.

2013-2021 წლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში **სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის** არაერთი პროექტი განხორციელდა. მათ შორის: **2013 წელს** სპორტული მინიმოედნები მოეწყო სოფლებში ბანოჯა და ფარცხანაყანევი, რაზეც, საერთო ჯამში, რეგიონული განვითარების ფონდიდან 11, 5 ათასი ლარი დაიხარჯა; **2014 წელს** სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის 6 პროექტი (ბანოჯა, ზედა მესხეთი, მაღლაკი (კოსტავეების უბანი), მაღლაკი (დოლაბერიძების უბანი), საყულია, წყალტუბო (მეორე უბანი) განხორციელდა, რასაც 32, 5 ათასი ლარი მოხმარდა. **2014-2015 წლებში** ქალაქ წყალტუბოს ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაციას 1 მლნ 994,6 ათასი ლარი მოხმარდა (მათ შორის 608,9 ათასი – რეგიონული განვითარების ფონდიდან); სხვადასხვა ქუჩაზე სპორტული მოედნების რეაბილიტაციას კი 30 ათასი ლარი მოხმარდა; სოფლებში (ფარცხანაყანევი, ოფშკვითი, ზედა მესხეთი, ქვედა მესხეთი, ბანოჯა, მაღლაკი) სპორტული მოედნების რეაბილიტაციაზე 50, 1 ათასი ლარი დაიხარჯა; ქალაქ წყალტუოში სპორტის სასახლის გარე საკანალიზაციო ქსელის მოწყობას 9 ათასი ლარი მოხმარდა. **2016 წელს** რეაბილიტაცია ჩაუტარდა კიდევ 5 მინი სპორტულ მოედანს (მაღლაკში, ქვიტირში, ზედა მესხეთში, ქ. წყალტუბოში (2 მოედანი)), რაზეც, საერთო ჯამში, 76, 7 ათასი ლარი დაიხარჯა; სამი სტადიონი (სოფელ ფარცხანაყანევში, მაღლაკში, გვიშტიბში) შეკეთდა **2017 წელს,** რაზეც, საერთო ჯამში, 63, 1 ათასი ლარი დაიხარჯა; **2018 წელს** სპორტული მოედნების რეაბილიტაციის 3 პროექტი განხორციელდა, რასაც 616, 7 ათასი ლარი მოხმარდა, მათ შორის, ქ. წყალტუბოს ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციას – 562 ათასი ლარი. **2019 წელს** სპორტული მოედანი მოეწყო სოფელ ქვედა მესხეთში, რასაც რეგიონული განვითარების ფონდიდან 20 ათასი ლარი დაიხარჯა.

დასრულებულია ქალაქ წყალტუბოში, კეცხოველის ქუჩაზე ხელოვნურსაფარიანი მრავალფუნქციური მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები, რასაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 45 ათასი ლარი მოხმარდა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა **სამინისტროსთან** შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახეობის შიდა ჩემპიონატები ჩაატარეს, სამინისტრომ ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობების მშენებლობა და სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარის შეძენაც დააფინანსა, ჩატარდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება. მათ შორის: 2013-2016 წლებში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში 1 შიდა ჩემპიონატი (დაიხარჯა 2,4 ათასი ლარი) და 13 სასწავლო საწვრთნელი შეკრება (დაიხარჯა 401,5 ათასი ლარი) ჩაატარეს. სამინისტრომ 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა (13,5 ათასი ლარი) და მუნიციპალიტეტისთვის სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარიც შეიძინა (5,7 ათასი ლარი).

2018-2019 წლებში გარე სავარჯიშო მოწყობილობები მოეწყო ქალაქ წყალტუბოში, თბილისისა და ტაბიძის ქუჩებზე და ცენტრალურ პარკში, რასაც 75 ათასი ლარი მოხმარდა.

ახალგაზრდული პოლიტიკა

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, რომელშიც 2021 წლისთვის 420 პირია გაერთიანებული.

2020 წელს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში სხვადასხვა ღონისძიება გაიმართა. მათ შორის: ტაეკვონდოს კადეტთა ეროვნული წევრების საწვრთნელი შეკრება. სახლის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს: თეატრალურ საახალწლო წარმოდგენაში, ქ. ქუთაისში გამართულ ნიღბების თეატრში სამეჯლისო კონკურსში, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტში, წყლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საირმეში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში და სხვ.

ახალგაზრდული მიმართულებებით სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა: მოხალისეობის განვითარების პროგრამა (რეგიონის მასშტაბით მონაწილეობდა 2-2 ახალგაზრდა ყველა მუნიციპალიტეტიდან); „საქართველოს თასი ლაშქრობაში“ (მონაწილეობდნენ 18-დან 29 წლამდეასაკისახალგაზრდები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა განახორციელეს პროექტები „ღია სივრცე (OPEN SPACE)“ და „ვირტუალური ტური იმერეთში“ (სულ დაიხარჯა 49,3 ათასი ლარი).პროექტების მიზანი იყო წყალტუბოში პირველი სოციალური კაფეს მოწყობა ახალდაარსებული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის და ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიით იმერეთის რეგიონის ტურისტული პოტენციალის შესახებ საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების გაზრდა.

2025 წლამდე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული
- **2022-2025 წლებში** დაგეგმილია სოფ. დერჩში მდებარე გიორგი ახვლედიანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია. პროექტის საერთო ღირებულება 800 ათასი ლარია და ის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ დაფინანსდება. იმავე პროექტის განხორციელებაზე რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ) 75 ათასი ლარი დაიხარჯება;
- **2022 წელს** განხორციელდება სოფელ ქვილიშორის სასოფლო კლუბის რეაბილიტაცია – 25 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან განხორციელდება მთავარი ბიბლიოთეკისა და სასოფლო ბიბლიოთეკების (ქვილიშორი, წყალტუბო, ცხუნკური, მეორე უბანი, ფარცხანაყანევი, ქვიტირი, გეგუთი, საყულია, ოფურჩხეთი, ჟონეთი, დერჩი, დღნორისი, ჭაშლეთი, საჩხეურა და ლეხინდრისთავი) რეაბილიტაციის პროექტები, რაზეც 1 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯება;
- დაგეგმილია გეგუთის არქეოლოგიური სამუშაოები (160 ათასი ლარი);
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- **2021-2025 წლებში** დაგეგმილია ქ, წყალტუბოსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში მუნიციპალიტეტში მინისპორტული მოედნების მოწყობის 14 პროექტი, რაზეც, საერთო ჯამში 415 ათასი ლარი დაიხარჯება. მათ შორის, **2022-2024 წლებში** დაგეგმილია: სპორტული მინისტადიონების მოწყობა-რეაბილიტაცია სოფელ გვიშტიბში (32 ათასი ლარი), სოფელ ქვილიშორი (ლეკერწას უბანი) – 29 ათასი ლარი, სოფელ პირველ წყალტუბოში – 15 ათასი ლარი. პროექტები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება;
- სპორტული მოედნები მოეწყობა ქ. წყალტუბოსა და სოფლებში: გეგუთი, ქვიტირი, ფარცხანაყანევი, რასაც, საერთო ჯამში 120 ათასი ლარი მოხმარდება;
- განხორციელდება არსებული სპორტული მოედნების რეაბილიტაციისა და ახალი მოედნების მოწყობის 4 პროექტი (ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა, სოფელი გვიშტიბი, ქვილიშორი (ლეკერწას უბანი) და პირველი წყალტუბო), რასაც, საერთო ჯამში, 106 ათასი ლარი მოხმარდება;
- ქ. წყალტუბოსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე სავარჯიშო მოწყობილობების დადგმის 17 პროექტია დაგეგმილი (10 – ქ. წყალტუბოში, 7 – სოფლებში: ოფურჩხეთი, გუმათი, მუხიანი, ოფშკვითი, პატრიკეთი, ტყაჩირი, გეგუთი), რასაც, საერთო ჯამში, 425 ათასი ლარი მოხმარდება;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად, გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიულ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

ᲩᲔᲛᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲑᲝ!

ჩემთვის უდიდესი პატივია, წყალტუბოში „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი ვიყო.

მოგეხსენებათ, 2014-2017 წლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის პოსტს ვიკავებდი, შესაბამისად, ამ მუნიციპალიტეტს, აქ მცხოვრებ ადამიანებსა და მათ პრობლემებს კარგად ვიცნობ. ვიცი, რა სჭირდება ყველაზე მეტად ქალაქსა თუ სოფელს; მეამაყება, რომ სწორედ ჩემი უშუალო მონაწილეობით დაიწყო წყალტუბოში თამარ მეფის ქუჩაზე რვასართულიანი კორპუსის მშენებლობა იძულებით გადაადგილებულ პირთათვის.

მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს სასმელი წყლის, გაზმომარაგების, საგზაო და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოები, მაგრამ ეს არ კმარა! ჩემი და ჩემი გუნდისთვის პრიორიტეტი იქნება მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, მეწარმეებისა და სოფლის მეურნეობის განვითარება.

წყალტუბოს დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს. ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ახალი ტურისტული პროდუქტების და ტურიზმის დარგში საუკეთესო საინვესტიციო გარემოს შექმნა.

მჯერა, წყალტუბოს მოსახლეობა ღირსეულ არჩევანს გააკეთებს და ჩვენი ქალაქის საკეთილდღეოდ, კიდევ ერთხელ, დავუდგებით ერთმანეთს მხარში.

ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.